ტვირთების ექსპედირება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ანონსი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - ტვირთების ექსპედირება; Freight forwarding

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; Secondary Vocational Qualification in Freight forwarding

კვალიფიკაციის დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე

დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუტორო ფირმები, გამანაწილებელი და ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები, საშუამავლო ფირმები.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 7 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 24 თვე.

მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
2. აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
3. დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
4. მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
5. განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
6. აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
7. აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.